ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №64/01-01, 19.04.2016 წ.
დანართი №1

2016 წლის 23 ივლისი-26 აგვისტოს ჩათვლით იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის თურქოლოგიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული თურქოლოგიის საზაფხულო სკოლისთვის მონაწილეების შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის თურქოლოგიის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ საზაფხულო სკოლაში მონაწილეების შერჩევა.

2. მონაწილეების შერჩევა
მონაწილეების შერჩევა მოხდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. ზეპირი პრეზენტაცია (თურქულ ენაზე)
2. მოტივაციის წერილი
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

1. კომისიის შეფასება

ა) კომისია ახორციელებს ზეპირი პრეზენტაციისა და მოტივაციის წერილის შეფასებას.

ბ) კანდიდატის ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე	10 ქულა
ძალიან კარგი	9 ქულა
კარგი	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი	7 ქულა
საკმარისი	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის ზეპირი პრეზენტაცია შეფასებული იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

2. გამარჯვებულის გამოვლენა

გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ მონაწილეების შერჩევის გზით.